

ინფორმაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება არჩევნების
მეორე ტურში მონაწილე სუბიექტებისთვის:

- იმ საარჩევნო ოლქში (ოლქებში), სადაც არჩევნების მეორე ტური ტარდება, უფასო საეთერო დრო ყოველ საათში 5 წთ ოდენობით ნაწილდება მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს შორის. იმ პროპორციით, რომლითაც არიან წარმოდგენილი ეს საარჩევნო სუბიექტები შესაბამის საარჩევნო ოლქში (ოლქებში) მეორე ტურში მონაწილეობისათვის.

2) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

- წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფის შესახებ ინფორმაცია განთავსდება მაუწყებლის ვებ გვერდზე www.1tv.ge

3) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 761-ე მუხლის თანახმად, არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო რეკლამებს მაუწყებლები გადასცემენ მეორე ტურის დანიშვნის დღის მომდევნო ორშაბათიდან.
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“. რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფა რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. სურდოთარგმანის არარსებობის შემთხვევაში მაუწყებელი იძულებულია არ გაუშვას სუბიექტის მიერ მომოდებული საარჩევნო რგოლი.
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 185-ე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. საარჩევნო სუბიექტის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შეწყობი რეკლამის ელემენტებს, ანუ შორის, მის წარმომადგენელს, რიგით მომხრესა და სიმბოლიკას.
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 185-ე მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა

და მისი არჩევანები მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კოდების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 10%-ს. ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში ნარეკები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კოდებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კოდების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 50%-ს. ამ პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელი არ განათავსებს შესაბამის პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამას.

- საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განათავსებად უნდა წარმოდგინოს განერალური დირექტორის, თინათინ ბარძენიშვილის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. თბილისი, გერაბ კოსტავას ქ.68.
- სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის (განაცხადის) რიგითობის მიხედვით და ყოველ მომდევნო დღეს განთავსდება როტაციის პრინციპით.
- სუბიექტის მიერ წარმოდგენილი კანონით გათვალისწინებული ეროვნობითი რგოლი თუ არის რამოდენიმე და საჭიროებს მადია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე info@gpb.ge; ან sales@gpb.ge უნდა გამოაგზავნოს განთავსების მადია გეგმა და შეათანხმოს სარეკლამო სამსახურთან. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაოდღეს. რგოლის განაცვლების ან მადია განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა გვაცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე info@gpb.ge; ან sales@gpb.ge , ხოლო სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს.

4) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

ვიდეო რგოლი:

- სარეკლამო რგოლზე უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან რიგითობის ნომერი, ზემოთ მოყვანილი წესის შესაბამისად.
- **სარეკლამო რგოლი უნდა იყოს:**
SD WIDESCREEN 16:9 DV.AVI ფორმატში 25 გბ/წმ (mbps) ფაილის სახით DVD დისკზე, აუდიო- 48 kHz mono- 2 ბილიკზე

რადიო რგოლი:

აუდიო ფაილი უნდა იყოს: **wav ან MP3 ფორმატში 48 kHz Stereo ან Mono**

საკონტაქტო:

sales@gpb.ge info@gpb.ge



საქართველოს პირველი არხის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგითაცეისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთარო დრო გამოყოფილია 2020 წლის 16 ნოემბრიდან - 2020 წლის 21 ნოემბრამდე პერიოდში როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და რადიო **FM 102.3**-ზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთარო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 12-12 წუთს.

ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

საქართველოს პირველი არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის ჰოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	850	850
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	1 000	1 000
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	3 000	3 000
01:00-02:00	ორშაბათი - კვირა	550	550

საქართველოს რადიო			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის ჰოზიცია (1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	200	200
12:00-16:59	ორშაბათი - კვირა	150	150
17:00-20:59	ორშაბათი - კვირა	250	250
21:00-02:00	ორშაბათი - კვირა	120	120